სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030666160163616

20 / ოქტომბერი / 2016 წ. **თბილისი #06-159/ო**

დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ

"დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის ფორმების, მათი შევსებისა და გაგზავნის, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 24 აგვისტოს №01-37/ნ - №173 ერთობლივი ბრძანების მე -3 დანართის პირველი მუხლის მე -3 პუნქტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე -5 მუხლის, მე -3 პუნქტის ''გ'' ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისა და გამოყენების წესი თანდართული დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს, ცენტრის სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტს, ამ ბრძანებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებასა და ამ პროცესში კონფიდენციალობის დაცვაზე პასუხისმგებლობა.
3. დაევალოს, ცენტრის ყველა დეპარტამენტს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელების პროცესში სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის მხარდაჭერა კომპეტენციის ფარგლებში.
4. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეს ირმა ხონელიძეს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი — პაატა იმნაძე